ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4511633

ნომერი: AR1682769

თარიღი : 21.05.2019

გაცემის თარიღი : 22.05.2019

გაცნობის თარიღი : 29.05.2019

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სოფელი დიღომი , ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა N1ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი გელაშვილი პ/ნ 01001001698
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 19 ბ. 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2019 წლის 21 მაისს №AR1682769 განცხადებით მომართა გიორგი გელაშვილმა და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 16 მაისის

№4501758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებით დადასტურდა ქ. თბილისში, სოფელ დიღომში, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის ქუჩა №1ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: №01.72.14.034.822) მშენებლობადამთავრებული ობიექტის - მრავალფუნქციური შენობის (სავაჭრო საოფისე) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის ბრძანებაში დაფიქსირებული არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობა და მათი დასაშვებობა ობიექტის შემდგომი ექსპლუატაციაში მიღების მიზნით.
განმცხადებლის განმარტების თანახმად, სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებაში განმცხადებლის გვარი, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების და წერილის რეკვიზიტები არასწორად არის მითითებული და შესაბამისად ითხოვს აღნიშნულის შესწორებას.
საპროექტო დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ 2019 წლის 20 მარტს №AR1669329 განცხადებით სამსახურს მომართა შპს ,,მშენებელი 2013''-ის დირექტორმა გიორგი გელაშვილმა და მოითხოვა არქიტექტურულ-სამშენებლო დარღვევებით განხორციელებული მშენებელობის ქალაქგეგმარებით მოთხოვნებთან შესაბამისობის დადასტურება, განმცხადებლის მიერ 2019 წლის 20 მარტის №AR1669329 განცხადებაზე ატვირთულ იქნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ 2019 წლის 06 მარტის №ბ-19/0118340487-17 ბრძანება და 2019 წლის 07 მაისის №17-01191273330 წერილი. სამსახურმა იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და დააკმაყოფილა განმცხადებლის მოთხოვნა, თუმცა გადაწყვეტილებაში ტენიკური შეცდომის შედეგად განმცხადებლის გვარი და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის საქალაქო სამსახურის მიერ გამოცემული ბრძანების და წერილის რეკვიზიტები დაფიქსირდა არასწორად.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლების მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებაში და განმცხადებლის სახელი და გვარი მიეთითოს: გიორგი გელაშვილი, ასევე აღნიშნულ გადაწყვეტილებაში დაფიქსირდეს: ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 06 მარტის №ბ-19/0118340487-17 ბრძანება'' და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2019 წლის 07 მაისის №17-01191273330 წერილი''.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 16 მაისის №4501758 გადაწყვეტილებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.